

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

## IX კლასი

### I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზვით სწორი პასუხი: ა, ბ ,ან გ (20 ქულა)

#### ფარნავაზი (ლევან სანიკიძე)

- ქართლის მთავარ ქალაქში, მცხეთაში, იჯდა მამასახლისი, სახელად სამარა.
- პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი აზონ, ტომით პონტოელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძენად“ წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლ სარდალსაც მიიჩნევდნენ. აზონმა დაიპყრო მცხეთა , გული ქართლისა. დაახოცვინა სამარა და მისი ძმა. ასე დაჯდა აზონ ქართლის ერისთავად. მან აღმართა ორი ვერცხლის კერპი – გაც და გაიმ.
- მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟიშვილი დარჩა, სახელად ფარნავაზ.
- დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველობაში გაზარდა. ჭაბუკობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა.
- მალე ფარნავაზს ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ვაჟკაცს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს, მეომარს და სწორუპოვარ მონადირეს. აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკაცონი. თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირული ხელოვნებისათვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.
- „შვილო ჩემო“ , ეკრძალე აზონს, ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაითუ მოგკლან!“ – შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი დედას ამშვიდებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად დასდევდა ტყესა და ღრეში.

#### 1) რა არის პირველი აზნაცის მთავარი სათქმელი?

- მცხეთა ქართლის ქალაქია;
- ქართლში იჯდა მამასახლისი;
- მცხეთაში იჯდა მამასახლისი, სახელად სამარა;

#### 2) მეორე აზნაცის მიხედვით ვინ დაიპყრო ქართლი?

- აზონმა
- ალექსანდრე მაკედონელმა
- სამარამ

#### 3) ვინ იყო ფარნავაზი მესამე აზნაცის მიხედვით?

- სამარას შვილი
- აზონის მემკვიდრე
- სამარას ძმისშვილი

#### 4) რა აკავშირებს I, II და III აზნაცს ერთმანეთთან?

- ამ აზნაცებს საერთო არ აქვთ;
- II და III აზნაცი აგრძელებს პირველ აზნაცში გამოთქმულ აზრს;
- III აზნაცი აბუნდოვანებს I და II აზნაცში გამოთქმულ აზრს;

#### 5) მეორე აზნაცის მიხედვით რა არის გაც და გაიმ?

- ვერცხლის ორი კერპი, რომელიც აზონმა აღმართა;
- ქართლის სოფლის სახელები;
- სამარას შვილები;

#### 6) მეოთხე აზნაცის მიხედვით სად გაგზავნა დედამ ფარნავაზი?

- დასავლეთ საქართველოში
- მთიულეთში
- კავკასიონის მთებში

#### 7) მეხუთე აზნაცის მიხედვით, როგორ ახასიათებს მემატთანე ფარნავაზს?

- მომხიბლავ ვაჟკაცს, მწიგნობარს, უებრო მხედარს, სწორუპოვარ მონადირეს;
- მხოლოდ მწიგნობარს;
- მხოლოდ უებრო მხედარს;

- 8) რა აკავშირებს მე-4 და მე-5 აბზაცს ერთმანეთთან?  
 ა) ამ აბზაცებს საერთო არა აქვთ;  
 ბ) ორივე აბზაცში საუბარია ფარნავაზზე;  
 გ) მე-5 აბზაცი აბუნდოვანებს მე-4 აბზაცში გამოთქმულ აზრს;
- 9) შეექვსე აბზაცის მიხედვით რას ურჩევდა დედა ფარნავაზს?  
 ა) მოერიდე აზონს, ნუ უჩვენებ შენს სიკეთესა და ღირსებას;  
 ბ) თავი გამოეჩინა აზონის წიმაში;  
 გ) არ შეშინებოდა აზონის და შებრძოლებოდა მას;
- 10) რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი?  
 ა) ისაუბროს აზონის შესახებ;  
 ბ) ისაუბროს ფარნავაზის შესახებ;  
 გ) ისაუბროს სამარას შესახებ;

## II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

- 11) ჩამოთვლილთაგან რომელი ფრაზეოლოგიზმები შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?  
*„დიდება ძალიან დამწუხრებულია, რადგან ომიდან მეტად შემზარავი ამბავი გაიგო.“*  
 ა) დანა პირს არ უხსნის      ბ) პირზე ღიმილი დასთამაშებს      გ) ქვა უხლია თავში
- 12) ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შესაბამისი ანტონიმი?  
*„უსინათლო მნათემ ხელის ფათურით მიაგნო გასასვლელს.“*  
 ა) უმეცარი      ბ) შესასვლელი      გ) შესახვევი
- 13) შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა -  
*„ქერის ორმოში ჩავარდა“*  
 ა) განსაცდელში ჩავარდა      ბ) ბედს ეწია      გ) კარგი მოსავალი აიღო
- 14) წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას მოუძებნე შესაბამისი სინონიმი  
*„მღვიმის პირას ორი ახალგაზრდა ჩამომჯდარიყო.“*  
 ა) ორმო      ბ) უფსკრული      გ) გამოქვაბული
- 15) რომელი სიტყვაა „პეშვის“ სინონიმი  
 ა) ცოტა წყალი      ბ) მუჭა      გ) რქა

## III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (60 ქულა)

- 16) რომელია ვინ ჯგუფის სულიერი სახელი?  
 ა) ტოროლა      ბ) მოციკვავე      გ) ფუტკარი
- 17) რას ეწოდება ბრუნება?  
 ა) სახელის ფორმის ცვლილებას  
 ბ) ქვემდებარის და შემასმენლის ბრუნვაში შეთანხმებას  
 გ) ზმნის ფორმის ცვლილებას
- 18) რომელი სიტყვის ფუძეა კუმშვად-კვეცადი?  
 ა) პეპელა      ბ) ნიორი      გ) მანქანა
- 19) რომელია ვითარებითი ბრუნვის სწორი ფორმა?  
 ა) კაცად      ბ) გმირათ      გ) მტრათ
- 20) ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?  
 ა) XI      ბ) VI-ე      გ) მე-XV-ე

21) ჩამოთვლილთაგან რომელია რიგობითი რიცხვითი სახელი?

- ა) ოცდახუთი      ბ) ერთი მეორედი      გ) მეჩვიდმეტე

22) რომელი წინადადებაა მარტივი?

- ა) შეისვა ვაზის და კერიის სადიდებელი.  
ბ) ბერი განცვიფრდა.  
გ) მზე ამოვიდა და გაანათა არემარე.

23) რამდენი მძიმეა გამოტოვებული მოცემულ წინადადებაში?

*ნინო ნანა თეო და ნათია მეგობრები არიან.*

- ა) ერთი      ბ)ორი      გ)არც ერთი

24) რამდენი მწკრივია პირველ სერიაში?

- ა) სამი      ბ) ოთხი      გ) ექვსი

25) რომელი მწკრივის ფორმაა ზმნა „დავკარგე“?

- ა) წყვეტილის      ბ) აწმყოსი      გ) II კავშირებითის

26) რომელ კილოზეა დაწერილი მოცემული ნაწყვეტი?

*„უი, უი ! და ივანეს სიტყვას უნდა აჰყვეთ, დოუდგა თვალები. ცნობით რავა არ ვიცნობ, ბიძაჩემია ის სულწაწყმედილი. იმის სიტყვას რავა დეეჯერება, გაგონილა? მხოლოდ მოტყუებაზედაა გამაცადინებული ყოველ წამში!“*

- ა) კახური      ბ) რაჭული      გ)იმერული

27) აირჩიე მართებული ფორმა და ჩასვი წინადადებაში

*მთვარე სახლის უკან .....*

- ა) სდგას      ბ) დგას      გ) დასდგა

28) რამდენპირიანია მოცემული ზმნები?

*წაუღო, შეუჭამა, გააცნო*

- ა) ერთპირიანი      ბ) ორპირიანი      გ) სამპირიანი

29) რომელია მცდარი ფორმა?

- ა) მე ვვარაუდობ      ბ) მე უარვყოფ      გ) მე უთხარი

30) რისთვის გამოიყენება ბოლოსართები: ს, ა, ო –მესამე პირის ზმნებში:

- ა) სუბიექტური პირის ნიშნებად მხოლოდით რიცხვში  
ბ) ობიექტური პირის ნიშნებად მრავლობით რიცხვში  
გ) სუბიექტური პირის ნიშნებად მრავლობით რიცხვში

**ბონუს– სავარჯიშო: შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა,ბ ან გ (15 ქულა)**

1. ყველა სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით:

- ა) ხმოვანფუძიანია      ბ) თანხმოვანფუძიანია      გ) ხმოვანფუძიანია და თანხმოვანფუძიანია

2. კუმშვისას ფუძიდან ამოვარდება:

- ა) ა, ე ,ო ხმოვნები      ბ) ა და ე ხმოვნები      გ) ი და ე ხმოვნები

3. ჩამოთვლილთაგან რომელია ფუძეხმოვნიანი სახელი?

- ა) მტკვარი      ბ) ღრუბელი      გ) ცა

4. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა:

*„ყვავილთ სული განაბეს.“*

- ა) მოთხრობითში      ბ) მიცემითში      გ) სახელობითში

5. რომელი რიცხვითი სახელი უპასუხებს კითხვას მერამდენე?

- ა) რაოდენობითი      ბ) რიგობითი      გ) წილობითი